ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N10/27

პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა **გამარტივებული შესყიდვა**

ქ. თბილისი 16 ოქტომბერი 2015 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მინისტრის მოადგილის ბესიკ დევდარიანის სახით და მეორე მხრივ შპს „გრინ ეფლი ჯორჯია" (შემდგომში "მიმწოდებელი") მისი დირექტორის ბექარ მიქუჭაძის სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანი არის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ბალანსზე რიცხული დანართ #1-ში მითითებული 1 (ერთი) ერთეული პერსონალური კომპიუტერის დანართ #2-ში მითითებული კომპიუტერის ჩასანაცვლებელ ფასთა სხვაობის ანაზღაურება (CPV30213000).

2. ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის აღწერა

2.1. ჩასანაცვლებელი პერსონალური კომპიუტერი: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ბალანსზე რიცხული პერსონალური კომპიუტერი მითითებულია დანართ #1-ში;

2.2. პერსონალური კომპიუტერი მითითებულია დანართ #2 -ში. (შემდგომში საქონელი)

3. ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება და ფასის სხვაობა

3.1. დღეის მდგომარეობით ჩასანაცვლებელი კომპიუტერული ტექნიკის საბაზრო ღირებულება დადგენილ იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და შესაბამისად, შეადგენს 60.00 (სამოცი) ლარს.

3.2. პერსონალური კომპუტერის ღირებულება შეადგენს – 2 984 (ორიათას ცხრაასოთხმოცდაოთხი) ლარს.

3.3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენს 2 924 (ორიათას ცხრაასოცდაოთხი) ლარს.

3.4. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება "მიმწოდებელს".

4.მიწოდებული საქონლის ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 მაგიდის კომპიუტერზე ვრცელდება 1 (ერთი) წლიანი საგარანტიო მომსახურება. ასევე, მიმწოდებელი იძლევა გარანტიას რომ, შესყიდვის ობიექტები იქნება მაღალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2015 წლის 23 ოქტომბერი.

4.3.მიმწოდებელმა საქონელი უნდა მიაწოდოს მისამართზე იპოლიტე ხვიჩიას ქ. #15ა,

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ლოჯისტიკის დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს მრჩეველი დიმიტრი მაჭუტაძე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 5.1. პუნქტში აღნიშნული მიღება ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5.მიმწოდებელმა ანგარიშსწირების განხორციელებისათვის 6.3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამთავრების დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს შესყიდვის ობიექტზე თანხის მოთხოვნის უფლებას შემსყიდველისათვის დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიღება.

7.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის ხელშეკრულებით დაგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხიანი საქონელი;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ) შემსყიდველს წარუდგინოს 6.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია

დ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებეთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

8.2 საქონლის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით ფორმით მიზეზის მითითებით, ან სატელეფონო შეტყობიმებით, რომელიც უნდა დაადასტუროს შემდგომ წერილობითი ფორმთ.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. საქონლის მიწოდების პარალელურად შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

12.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს საქონლის რაოდენობა და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი თვალხილულია).

12.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის ან/და ნაკლის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის ხარჯით მისი აღმოფხვრა.

12.4. ინსპექტირების აქტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში მოწოდებულ საქონელს ჩაუტარდება ექსპერტიზა.

12.5. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მინისტრის მიერ უფლებამოსილი პირი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ან/და სატელეფონო შტყობინების შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;

დ) ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე;

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ერთი მიმწოდებელთან და ორი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მის: ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. N3 ს/კ 204564934 სახელმწიფო ხაზინა კოდი: ს/კ 220101222; ა/ა 200122900 მინისტრის მოადგილე /ზესიკ დევდარიანი/	შპს „გრინ ეფლი ჯორჯია“ მის: ქ. თბილისი, იპოლიტე ხვიჩიას ქ. #15ა. ბ.13. ს/კ 404900531 სს „პროკრედიტ ბანკი“ ბ/კ MIBGGE22 ა/ა GE87PC0453600100002742 დირექტორი /ბექარ მიქუჭაძე/

დ.

2015 წლის 15 ოქტომბრის N10/25 ხელშეკრულება,

ფასების ცხრილი

#	ჩასანაცვლებელი კომპიუტერის კომპლექტი	რაოდენობა	სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა # 1007293815	საერთო ფასი
1	მონიტორი CRT SAMSUNG SyncMaster 793DF. პროცესორი HP Compaq Dx 2000MT. კლავიატურა KB 21. მაუსი Deluux.	1	60,00	60
		ჯამი:		60

შემსყიდველი:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ფუძე დევდარიანი

მიმწოდებელი:

შპს „გრინ ეფლი ჯორჯია"

ბექარ მიქიტაძე

შემსრულებელი:

დანა.

2015 წლის 15 ოქტომბრის N10/25 ხელშეკრულებასა.

ფასების ცხრილი

#	კომპიუტერი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	IMAC 21 inch 500 GB	1	2984,00	2984
		ჯამი:		2984

შემსყიდველი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ზურაბ დიდვაღანი

მიმწოდებელი:
შპს „გრინ ეფლი ჯორჯია"

ბექარ მიქელაძე

შემსრულებელი:

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5005143715
07/10/2015
201 6

5005143715

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ნაცვლიშვილს

ბატონო გიორგი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N00861186 მომართვის (ბიუროს 2015 წლის 7 ოქტომბრის რეგისტრაციის N1007393815) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N005979615 დასკვნას.
დანართი:

ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

ნივთმტკიცება - 01 დალუქული პაკეტი.

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

საქართველოს სასჯელაღსრულ
და პრობაციის სამინისტრ
ადმინისტრაციული დეპარტამ
საქმისწარმოების სამმართვ
ფურცელ № 865785
თარიღი 08 10 2015

(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 431) 21 30 03
info@forensics.ge
(995 422) 27 94 30

თბილისი 0162 ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600 მესხეთის ქ. №5
5 Meskhi str., Kutaisi 4600, Georgia
ბათუმი 6000 აბაშიძის ქ. №145

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

005979615

ექსპერტის დასკვნა № 005979615

გაფრთხილება

სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ქვესტრუქტურა:

თანამდებობა: ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

მისამართი:

სახელი და გვარი: გიორგი ნაცვლიშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

ლიკა ხუნაშვილი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 5 წლის სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის GAC-PC-0002 ISO/IEC 17024:2010 შესაბამისობის სერტიფიკატი P-0022

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

„გთხოვთ, გამოგვიყოთ სპეციალისტი, რომელიც მოახდენს ჩვენს მიერ წარმოფგენილი კომპიუტერის შეფასებას და დაჩქარებული წესით მოგვცემს დასკვნას მისი ღირებულების შესახებ."

შემოსვლის თარიღი: 07.10.2015წ

გასვლის თარიღი: 07.10.2015წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილი, ექსპლუატაციაში ნამყოფი პერსონალური კომპიუტერის კომპლექტის საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 60 ლარს, დეტალურად იხილეთ დასკვნის კვლევით ნაწილში.

ლიკა ხუნაშვილი

გამოკვლევა

ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, 2015 წლის 7 ოქტომბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შემოვიდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ნაცვლიშვილის 2015 წლის 7 ოქტომბრის MOC 9 15 00861186 წერილი სასაქონლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (ბ/რ N1007393815). წერილთან ერთად წარმოდგენუილი იქნა ნივთმტკიცება.

2

005979615

ექსპერტის დასკვნა № 005979615

ექსპერტს ნივთმტკიცება წარედგინა დალუქულ მდგომარეობაში. წარმოდგენილ ნივთმტკიცებაზე მწებავი ლენტით მიმაგრებული იქნა ქაღალდი, რომელზეც დასმულია მრგვალი ბეჭდის ანაბეჭდი, რომელზეც იკითხება: „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ლოჯისტიკის დეპარტამენტის მომარაგების სამმართველო".

ექსპერტის მიერ დათვალიერებული, დასურათებული და შემოწმებული იქნა წარმოდგენილი ნივთმტკიცება, რომელსაც ჩაუტარდა შესაბამისი სასაქონლო კვლევა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი იქნა ექსპლუატაციაში ნამყოფი პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი: მონიტორი CRT SAMSUNG SyncMaster 793DF, პროცესორი HP Compaq Dx 2000MT, კლავიატურა KB 21 და ე.წ. „მაუსი" Delux .

წარმოდგენილი პროცესორის დენის წყაროსთან შეერთების შედეგად ჩაირთო, მაგრამ მონიტორზე მონაცემები არ აისახა; მონიტორი დენის წყაროსთან შეერთების შედეგად ჩაირთო; კლავიატურის შემოწმება ვერ მოხერხდა ვინაიდან, პროცესორთან დამაკავშირებელი თავი დაზიანებული აქვს; ე.წ. „მაუსი" ჩაირთო მაგრამ არ რეგირებს.

წარმოდგენილი პროცესორის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით საჭიროა დამატებით ექსპერტიზის ჩატარება.

საბაზრო ღირებულება მიღებულია აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში - მსგავსი) საქონლის მოთხოვნისა და მოწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. საქონლის ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი გამყიდველისათვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში. ექსპერტების მიერ საბაზრო ღირებულება დადგენილია შედარების მეთოდით, რაც დაფუძნებულია შესაფასებელი ობიექტის მსგავსი გაყიდული ობიექტის შედარებაზე. ყურადღება გამახვილებულია იდენტური საქონლის ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა:

- წარმოდგენილი სახით და ფუნქციონალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროცესორის HP Compaq Dx 2000MT - საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 30 ლარს;

- მონიტორის CRT SAMSUNG SyncMaster 793DF - საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 30 ლარს;

- წარმოდგენილი სახით და ფუნქციონალური მდგომარეობიდან გამომდინარე კლავიატურას KB 21 და ე.წ. „მაუსს" Delux - საბაზრო ღირებულება არ გააჩნიათ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტიზაზე შესაფასებლად წარმოდგენილი, ექსპლუატაციაში ნამყოფი პერსონალური კომპიუტერის კომპლექტის საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 60 ლარს, დეტალურად იხილეთ დასკვნის კვლევით ნაწილში.

ლიკა ხუნაშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი